

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

05.11.2013 № 193

თბილისი

2013-2014 სასწავლო წელს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სტუდენტების განცხადებების და დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე იმ პირთათვის, რომლებმაც სტუ-ში სასწავლო კურსები გაიარეს ელექტრონული ტესტირების შემოღებამდე და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის აღებული აქვთ დამატებითი სემესტრები ან სტუ-ში ჩაირიცხნენ მობილობის წესით, 2013-2014 სასწავლო წელს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ფაკულტეტების და სასწავლო კურსების მიხედვით შეიქმნას კომისიები შემდეგი შემადგენლობით:
 - სწავლების დეპარტამენტის წარმომადგენელი, თავმჯდომარე
 - საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის წარმომადგენელი, წევრი
 - შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი, წევრი
 - სასწავლო კურსის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის წარმომადგენელი, წევრი
 - სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, მდივანი
2. ტესტირების შედეგები გაფორმდეს არსებული წესით და შესაბამისი ოქმები გადაეცეს საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრს (დ.კაპანაძე) შეფასებების საგამოცდო უწყისში შესატანად;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
4. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი

ვიზები:

 ა. გვანციშვილი

რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე